პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
ოთხშაბათი
24
დეკემბერი
№ 299
(16425)
ფასი
2 კაპ.
1975

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

KOMUNISTI

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲛᲐᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲚᲐᲮᲔᲚᲔᲑᲔ

ᲡᲙᲙ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში“ ითვალისწინებს:

საქართველოს სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის მოცულობის გადიდებას 35-39 პროცენტით, ელექტროტექნიკური, ჩარხსაინსტრუმენტო და ქიმიური მრეწველობის უპირატეს ზრდას. ელექტროენერგეტიკის შემდგომ განვითარებას ძირითადად ჰიდროენერგორესურსების გამოყენების გზით, ელექტროენერგიის გამოუშვების გადიდებას 1.5-ჯერ. ენერგის ჰიდროელექტროსადგურის მეშენებლობის დამთავრებას. მსუბუქი და კვების მრეწველობის განსაკუთრებით მეღვინეობის განვითარებას, მომავალ საწარმოთა ფილიალების განლაგებას მთიან და მთისწინეთის რაიონებში შრომითი რესურსების უფრო სრული გამოყენების მიზნით.

21-24 პროცენტით უნდა გადიდდეს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა. უზრუნველყოფილ იქნას ტექნიკური და მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურების ნარგავების შემდგომი გაფართოება და მოსავლიანობის ამაღლება, ციტრუსოს მრავალწლიან ნარგავთა სიმეჩხრე. 1980 წლისათვის ჩაის ფოთლის წარმოება გაიზარდოს 255 ათას ტონამდე, ყურძნის საშუალო წლიური მოსავალი გადიდდეს დაახლოებით 1,5-ჯერ. გაფართოვდეს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და ამაღლდეს მისი პროდუქტიულობა. განხორციელდეს მიწიგის რწყვის სამუშაოები 60 ათას ჰექტარ ფართობზე და აღოურობა კოლხეთის დაბლობისა 40 ათას ჰექტარზე. გაუფჯობესდეს მელიორირებული მიწების გამოყენება.

უზრუნველყოფილ იქნას შავი ზღვის სანაპიროზე და მთიან რაიონებში საკურორტო ზონებისა და ტურისტული ბაზების შემდგომი განვითარება.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ — ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ!

ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲧᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲤᲔᲠᲝᲨᲔᲜᲐᲓᲜᲝᲑᲗᲐ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔ

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოა. ახალი ტექნოლოგიის ათვისებისა და ექსპორტის მხრივ მას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სსრ კავშირის მასშტაბით და ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მას საკავშირო ქარხანა-ლაბორატორიას უწოდებენ.

მიუხედავად ასეთი მიღწევებისა ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობა ვერ უპასუხებს პროგრესის დღევანდელი მოთხოვნილების დონეს და აქაურ მეტალურგებს საკმაოდ რთულ პირობებში უხდებათ მუშაობა.

ტექნიკური ძვრები საწარმოში გასული წლიდან დაიწყო. ისინი პირველ რიგში მეოთხე საამქროს, შეეხო. გაიზარდა სიმძლავრეები, გაუმჯობესდა ტექნოლოგიური პროცესები, დახურული რეჟიმით ლითონის გამოდნობაზე გადავიდა ოთხი ღუმელი, აშენდა მარგანეცის კონცენტრატის დამბრიკეტებელი საამქრო, საექსპლოატაციოდ გადაეცა აირგამწმენდი სისტემები № 1 და № 2 საამქროებში და მომდინარეობს აირგამწმენდი სისტემის სამუშაოები ქარხნის მესამე საამქროში.

ქარხანას უფრო დიდი ტექნიკური და საწარმოო პერსპექტივები აქვს მეათე ხუთწლეულში, შავი მეტალურგიის წინაშე დიდი ამოცანები დგას 1971-1978 წლებში სახალხო მეურნეობის განვითარების მიმართულებებში, რომელსაც სკკპ XXV ყრილობა განიხილავს.

ბევრი სასიამოვნო სიახლის მოლოდინში არიან ჩვენი მეტალურგები უახლოეს წლებში. უახლოეს პერიოდში ძირითადად დამთავრდება მეტალურგთა ახალი ქალაქის შენებლობა 5.000 კაცისათვის. ეს იქნება თანამედროვე, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი რაიონი, თავისი საყოფაცხოვრებო ობიექტებით. ახალი ქალაქი ტროლეიბუსებით და საბავირო გზებით დაუკავშირდება ქარხანას, ზესტაფონის ცენტრს.

ფართო მასშტაბის სამუშაოები ჩატარდება თვით ქარხნის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის, სანიმუშოდ მოეწყობა მუშათა კვების, დასვენების ობიექტები, აიგება პიონერთა ბანაკები, ღამის პროფილაქტორიუმი კურორტ სამონეთში.

ახალ ხუთწლეულში მთავარი მაინც ხელახალი ტექნიკური აღჭურვილობა იქნება, რაც უზრუნველყოფს საწარმოს სიმძლავრეების ზრდას 14,5 პროცენტით. 1977 წლისათვის ნავარაუდევია აგლომერაციის ფაბრიკის მშენებლობის დამთავრება, ამავე წელს სიექსპლოატაციოდ გადაეცემა წიდის დამხარისხებელი ფაბრიკა, საკომპრესორო. დაიწყება სალოკომოტივო დეპოს მშენებლობა, ორი ახალი, უდიდესი სიმძლავრის უნიკალური ღუმელის მშენებლობა. მთლიანად დამთავრდება № 2 და № 4 საამქროების ღუმელების მოდერნიზაცია, ეს სამუშაოები ნავარაუდევია № 1 საამქროშიც.

ტექნოლოგიური თვალსაზრისით, კვლავ ფართო მასშტაბის პრაქტიკულ-სამეცნიერო სამუშაოები ჩატარდება კომპლექსური შენადნობების მიღებისათვის მარგანეცის ლარიბი მადნებისა და ტყიბულის გაუმდიდრებელი ნახშირის გამოყენებისათვის. ეს პრობლემატური საქმე უფრო ადვილად გადაწყდებოდა, რომ ახალ ხუთწლეულში გათვალისწინებული იყოს კომპლექსური შენადნობების საამქროს მშენებლობა.

ზესტაფონელმა მეტალურგებმა ვადაზე ადრე უპატაჟეს ქვეყნისა სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ხუთწლიანი გეგმის შესრულება. მუშაობაში დაძლეულ იქნა წლევანდელი სიძნელეებიც და ქვეყანამ დიდძალი ზეგეგმითი ლითონი მიიღო.

დიდი ტრადიციების მქონე მეტალურგები მომავალი გამარჯვების მტკიცე რწმენით ეგებებიან სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებს, თავიანთ წვლილს შეიტანენ ქვეყნის მომავლის ნათელი პროგრამის განხორციელებაში.

არ. ცქიტიშვილი,
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი.

ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ

ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲒᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის ავჭალის შუშის ქარხნის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 6 დეკემბრისათვის შეასრულა. გამოშვებულია 86.400 ათასი ბოთლი, გეგმა კი 86 მილიონი ბოთლის დამზადებას ითვალისწინებდა.

საწარმოს კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 7.500 ათასი ცალი ბოთლი გამოუშვას.

საჩხერე. ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივმა, რომელიც ჩაბმული იყო წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალი წარმატება მოიპოვა. წლიური გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით 18 დეკემბრისათვის შესრულა. ყაირათიანი მუშაობის შედეგად მიღებულია 23 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება. საწარმოს კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ხოფლიანი გეგმაც. თუნდაც შემოსაღების გეგმას 55 ათასი მანეთით გადაჭარბა.

ბათუმი. ტრანსფორმატორების ქარხნის კოლექტივმა ხუთწლეული 17 ნოემბრისათვის შეასრულა. მეცირეძალოვანი ტრანსფორმატორების გამოშვება განლილ პერიოდში 33 პროცენტით გაიზარდა. საწარმოს კოლექტივმა გადაწყვეტა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 960 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვას.

თბილისი. საპნის ქარხანა ერთადერთია რესპუბლიკაში. ჩვენი პროდუქციით მარტო საქართველოს მშრომელთა მოთხოვნილებას კი არ ვაკმაყოფილებთ, არამედ მას ჩვენი დიდი ქვეყნის მრავალ კუთხეშიც ვეგზავნით. საწარმოს კოლექტივმა მაღალნაყოფიერად იშრომა ხუთწლეულის დამამთავრებელ წელს და ხუთწლიანი გეგმა 27 ნოემბრისათვის შეასრულა. გამოშვებულია 31,5 მილიონი მანეთის ნაწარმი, გეგმა კი 31,2 მილიონ მანეთს ითვალისწინებდა. მომხმარებელმა 92,2 ათასი ტონა სხვადასხვა სახის საოჯახო საპონი და 6.770 მილიონი ფლაკონი მაღალხარისხოვანი შამპუნი მიიღო.

ქარხნის კოლექტივმა სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ღირსეული შეხვედრისათვის გადაწყვეტა თავის შესაძლებლობას და ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით კიდევ 600 ათასი მანეთის პროდუქცია.

თბილისი. ყველ-კარაქის ბაზის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალი წარმატება მოიპოვა. საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა ერთი თვით ადრე შესრულა. დაკალების გადამეტებით გამოშვებულია 542 ათასი მანეთის პროდუქცია.

ბაზის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით კვლავ აწარმოოს 100 ათასი მანეთის პროდუქცია.

სამტრედიის სარემონტო-სამშენებლო კანტორის კოლექტივი სისტემატურად ზრდის შრომის ნაყოფიერებას და აუმჯობესებს ხარისხს. „საკომუნარმშენის“ სამშენებლო ორგანიზაციებს შორის პირველი ადგილი დაიკავა და წლიური გეგმა 11 თვეში დიდი გადაჭარბებით შეასრულა. მშენებელ-მერემონტეებმა მარშანდელთან შედარებით ორნახევარჯერ გაზარდეს სამუშაოთა მოცულობა. მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით „საკომუნარმშენის“ გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია დაიმსახურა.

ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲣᲨᲐᲡ



ᲛᲔᲐᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივმა ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში დიდი ჩამორჩენა დაუშვა. ქარხნის ხელმძღვანელობამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებები ხუთწლიანი გეგმის უთუოდ შესრულებისათვის. ჯერ კიდევ 1973 წელს საწარმოში დაიბადა ინიციატივა — „დღეს მოწინავის მიჯნა ხვალ თვითეულის მიჯნაა“. ამ დევიზით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. მოწინავე მუშებმა გააფართოეს დაზგების მომსახურების ზონა. მაგრამ ერთეულების მაღალნაყოფიერი შრომა საქმეს წინ ვერ წასწევდა.

ამ თაობნობის წამოწყებამდე ქარხანაში ხულ რამდენიმე მუშა იყო, რომლებიც ცვლაში 350 კილოგრამ კორდის ძაფს უშვებდა. საჭირო იყო მოწინავეთა დონეზე აგვეყვანა თვითეული მუშის გამომუშავება. ცხადია, ეს საწარმოს კოლექტივს საშუალებას მიხცემდა დაეძლია წინა წლების ჩამორჩენა.

მოწინავე მუშათა მაგალითს ბევრმა მიბაძა, გააფართოეს მომსახურების ზონა, შემცირდა დაზგების მოცდენები, იმატა პროდუქციის გამოშვებამ, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. ყოველივე ამან კარგი შედეგი გამოიღო. 1974 წლის გეგმა საწარმოს კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა.

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმისა და საერთოდ ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ნაყოფიერმა შრომამ კარგი შედეგი გამოიღო. ქარხნის კოლექტივმა ხუთწლიანი გეგმა 11 დეკემბრისათვის შეასრულა, ხოლო წლევანდელი წლის 11 თვის გეგმას 250 ათასი ცალით გადაჭარბა. წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის დამკვრელური შრომა გრძელდება.

ქარხნის კოლექტივი გულდასმით ეცნობა 1976-1980 წლების სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებების პროექტს, რომელშიც აღნიშნულია, რომ უზრუნველყოფთ 1980 წელს ქიმიური ბოჭკოსა და ძაფის წარმოება 1.450-1.500 ათასი ტონის ოდენობით. გავაფართოოთ თვისებაგაუმჯობესებული ხაყოფაცხოვრებო დანიშნულების ბოჭკოსა და ძაფის ასორტიმენტი. გავადიდოთ მაღალი მოდულის ბოჭკოს, ტექსტურირებული ფილამენტური ძაფის გამოშვება.

სურათებზე: ზემოთ — ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მოწინავე მუშები (მარცხნიდან) მგრეხავი ნ. ჭეიდაძე, გადამხვევები მ. მაკაშანოვა, ლ. მთვარელიძე, ოპერატორი მ. რატიანი, მგრეხავი ლ. ხმელიძე, რომლებმაც კარგახანია შეასრულეს პირადი ხუთწლედი და მომავალი ხუთწლედის ანგარიშში შრომობენ. ქვემოთ — კორდის ქსოვა.

ფლ. გინზბურგის ფოტო.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲜᲝᲒᲐᲗᲔᲑᲘ

● ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონის მშრომელებმა პირობა გაანადდეს. მათ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს გეგმა-ვალდებულებით სახელმწიფოს უნდა მიეყიდონ 4.875 ტონა ხორცი. ეს დავალება ვადაზე ერთი თვით ადრე 119 პროცენტით გაანაღდეს. წლეულს 31 დეკემბრამდე სახელმწიფოს უნდა მიეყიდონ 11.400 ტონა რძე, ფაქტიურად უკვე მიეყიდეს 12.434 ტონა. ახლა მეათე ხუთწლედის ანგარიშში შუშაობენ.

● ᲒᲣᲜᲓᲘᲨᲘᲡ რაიონის მშრომელებმა სიტყვა არ გატეხეს. ვადამდე ერთი თვით ადრე სახელმწიფოს მიეყიდეს 1.032 ტონა ხორცი ნაცვლად წლიური გეგმა-ვალდებულებით ნაკისრი 887 ტონისა. რძე მიეყიდა 1.339 ტონა ნაცვლად 1.227 ტონისა, ხოლო კვერცხი 899 ათასი ცალი, რაც წლიურ გეგმას 494 ათასი ცალით ჭარბობს.

● ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲔᲚᲐ მშრომელებმა სახელმწიფოს მიეყიდეს 1.018 ტონა ხორცი ნაცვლად წლიური გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 788 ტონისა, რძე მიეყიდეს 2.088 ტონა, რაც წლიურ გეგმა-ვალდებულებას 250 ტონით სჭარბობს, კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა-ვალდებულება 150 პროცენტით შესრულდა.

● ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ რაიონის მეცხოველეობის სიტყვა საქმეზე აქვიეს. მათ ვალდებულებით 31 დეკემბრისათვის სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 1.462 ტონა ხორცი. ეს დავალება ერთი თვით ადრე გადაჭარბებით განაღდეს. სახელმწიფოს მიეყიდეს 1.671 ტონა ხორცი, 5.513 ტონა რძე ნაცვლად 5.377 ტონისა.

● ᲗᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ რაიონმა სახელმწიფოს მიაყიდა 2.005 ტონა ხორცი ნაცვლად წლიური გეგმა-ვალდებულებით ნაკისრი 1.690 ტონისა, 3.044 ტონა რძე ნაცვლად 2.734 ტონისა, 1.751 ათასი ცალი კვერცხი, რაც წლიურ გეგმა-ვალდებულების 159 პროცენტს შეადგენს.

● ᲐᲑᲐᲨᲘᲡ რაიონის მშრომელთა პირობა იყო 30 დეკემბრისათვის სახელმწიფოსათვის მიეყიდა 1.022 ტონა ხორცი. აბაშელებმა პირობა ვადამდე ერთი თვით ადრე გაანაღდეს. სახელმწიფოს მისცეს 1.249 ტონა ხორცი, 2.215 ტონა რძე ნაცვლად 1.836 ტონისა.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ „ᲠᲐᲓᲣᲒᲐ“

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გამოყენებით კავშირის სისტემებისა და სატელევიზიო მაუწყებლობის შემდგომი განვითარების პროგრამის შესაბამისად 1975 წლის 22 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაეშვებ საქმრგზამფლობის ახალი თანამგზავრი „რადუგა“. მასზე დადგმული ხაბორტო ხარეტრანსლაციო აპარატურა უზრუნველყოფს ტელევიზიის სანტიმეტრიანი დიაპაზონით უწყვეტ სადღეღამოსო სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირსა და ამავე დროს ცენტრალური ტელევიზიის ფერადი და შავ-თეთრი პროგრამების გადაცემას ხვდგურ ორბიტის“ ქსელში.

თანამგზავრი „რადუგა“ გაუვანილია სტაციონარულს ახლო წრიულ ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 35.800 კილომეტრი;
— დედამიწის გარშემოვლის პერიოდი — 23 საათი და 54 წუთი,
— ორბიტის დახრილობა — 0,3 გრადუსი.

ამასთანავე უზრუნველყოფილია თანამგზავრის მუდმივი მდებარეობა დედამიწის ზედაპირის მიმართ.

კავშირისა და ტელევიზიის სრულყოფილი მრავალლეროიანი სარეტრანსლაციო აპარატურის გარდა, თანამგზავრზე არის: დედამიწის მიმართ ზუსტი ორიენტაციის სამლერძა სისტემა; მზის ბატარეების მზეზე ავტომუკიდებელი დამიზნებისა და დაკვირვების ენერგომომარაგების სისტემა; ორბიტაზე კორექციის სისტემა; თერმორეგულირების სისტემა; ავტომატელემეტრიული სისტემა საბორტო მოწყობილობის მოცემების დედამიწაზე გადმოსაცემად; რადიოსისტემა ორბიტის პარამეტრების ზუსტი გაზომვისა და თანამგზავრის მართვისათვის.

თანამგზავრ „რადუგაზე“ დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. ხაკომანდო-ხაზობი კომპლექსი ახორციელებს თანამგზავრის მართვას.

თანამგზავრის კავშირისა და სატელევიზიო აპარატურის ექსპლოატაცია განხორციელდება დასახული პროგრამის შესაბამისად. თანამგზავრ „რადუგას“ აქვს საერთაშორისო · ხარეგისტრაციო ინდექსი „სტაციონარ-I“.

სკკპ XXV ყრილობის წინ სახალხო მეურნეობაში გამოყენებული კავშირის კოსმოსურ ხაშუალებებს შეემატა კავშირის ახალი ტიპის თანამგზავრი „რადუგა“.

ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲗ

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი XXV ყრილობისთვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“. ბროშურის პირველ გვერდზე დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“.

ბროშურა გამოვიდა მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝᲗᲘᲡ ᲕᲘᲘᲦᲝ ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

23 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო იორდანიის ოფიციალურ წარმომადგენელთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სენატორი ა. მ. რიფაი. დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა საკონსულტაციოდ მხარეებისათვის საინტერესო საკითხებზე.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში და ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა, გაიმარჯა აზრთა გაზიარება ახლო აღმოსავლეთის რაიონის მდგომარეობის შესახებ, არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის გადაწყვეტის პერსპექტივების, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-იორდანიის თანამშრომლობის საკითხების შესახებ.

(საკდესი).

ᲒᲐᲔᲛᲖᲐᲕᲠᲐ ᲣᲜᲘᲠᲕᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲗ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

23 დეკემბერს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ფ. პუია. იგი მოსკოვში იმყოფებოდა მეგობრული ვიზიტით.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე ფ. პუია და მისი თანმხლები პირნი გაიცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

(საკდესი).

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

მუდმივობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საერთაშორისო მშვიდობის საბჭოს ოცდახუთ წელთან დაკავშირებით, მშვიდობისათვის მოძრაობასა და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1975 წლის 22 დეკემბერი.

Კ. ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ Ფ. ᲔᲜ�გᲔᲚᲡᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ორიგინალის ენებზე გამოიცა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა სრული კრებულის პირველი ტომები.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა შრომების უნიკალური გამოცემის შესახებ საკდესის კორესპონდენტს ესაუბრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ი. ზეეინი:

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი შეთანხმდნენ ამ გამოცემის შესახებ. მისი მომზადება დაიგალა ორივე ქვეყნის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტებს. გამოცემაში შეავა პროლეტარიატის დიდი მასწავლებლების მთელი გამოქვეყნებული და ხელნაწერი შემკვიდრეობა, აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის უკვე ცნობილ ნაწარმოებთა გარდა ტომებში შავა დღემდე გამოუქვეყნებელი მასალები, მათ შორის აღმოჩენილი მათი ნაშრომები, ჩანაწერები, ამონაწერები, წიგნებში გაკეთებული შენიშვნები და სხვები.

ყველა ტექსტი ქვეყნდება იმ ენაზე, რომელშიც ისინი დაიწერა ან პირველად გამოიცა. ეს კარგი საფუძველი იქნება კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ცალეული ნაწარმოებებისა და თხზულებათა კრებულის ყველა ენაზე ახალი გამოცემებისათვის, დაგვანახებს ავტორთა შემოქმედებითს ლაბორატორიას, ხელს შეუწყობს მარქსიზმის თეორიისა და ისტორიის დარგში შემდგომ საფუძვლიან კვლევითს მუშაობას.

გამოცემის საერთო მოცულობა დაახლოებით 100 ტომს შეადგენს.

ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲐ

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

გამოჩენილი ქართველი მწერლის შალვა დადიანისადმი დიდი პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატულება იყო მისი დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. შალვა დადიანი ნაზოგადოებრივ ასპარეზზე გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოვიდა და ერთგულად ემსახურებოდა ქართულ კულტურას ჩვენი საუკუნის 50-იანი წლების დამლევამდე.

რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში შეიკრიბნენ მწერლისა და თეატრალური მოღვაწის შალვა დადიანის შესანიშნავი ნიჭის მრავალი თაყვანისმცემელი. სცენის სიღრმეში ყვავილებში მოჩანს ციფრი „100“. სცენაზეა მწერლის დიდი პორტრეტი.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. აბაშიძემ.

— შალვა დადიანი თავისი პიროვნებითაა და შემოქმედებით თითქოს ერთმანეთთან აკავშირებდა ძველ და ახალ საქართველოს, — თქვა მან, — მან უმღერა ჩვენი ხალხის ისტორიას და არაერთი შთაგონებული სიმღერა მიუძღვნა სოციალისტურ საქართველოს. იგი იყო არა მარტო შესანიშნავი პიესების ავტორი, არამედ თვითონაც დგამდა მათ და ასრულებდა მთავარ როლებს.

დღეს მაღლიერი შთამომავლობა იგონებს მწერალს — ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ქართველი ერი ასკეცად უბრუნებს იმ სიყვარულს, რომელსაც ეს ოდენ უზვად თესავდა თავის ხალხში.

„სიტყვა შალვა დადიანზე“ წარმოთქვა კრიტიკოსმა, პროფესორმა გ. ციციშვილმა.

შალვა დადიანის მრავალფეროვანი შემოქმედების, მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის, მშობლიურ ლიტერატურასა და თეატრში მისი როლის შესახებ ილაპარაკეს საქართველოს სსრ და უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ, ცნობილმა რუსმა თეატრმცოდნემ ნ. აბალკინმა, მწერალმა, პროფესორმა ს. ჭილაიამ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, კინორეჟისორმა ს. დოლიძემ, პოეტმა ხ. ბერულავამ, დრამატურგმა გ. ხუხაშვილმა, პოეტმა კ. კალანდამ დამსწრეთ გაუზიარა მოგონებანი და წაიკითხა შალვა დადიანისადმი მიძღვნილი ლექსი.

ცხაკაიას რაიონის — მწერლის სამშობლოს მშრომელთა სახელით გამოვიდა პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი ვ. ესვანჯია.

საღამოს მონაწილეებმა ნახეს სპექტაკლი — შ. დადიანის პიესა „გუშინდელნი“, რომელიც დადგა რუსთაველის სახელობის თეატრმა.

საიუბილეო საღამოს დაესწრნენ ამხანაგები პ. ვილაშვილი, გ. კოლბინი, ზ. პატარიძე, კ. ჰატიაშვილი, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ზ. ჩხეიძე, ო. ჩერქეზიანი, ქ. შარტავა.

(საქინფორმი).

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

22 დეკემბერს თბილისში გაიმართა ენერგეტიკოსის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ბაკურაძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს უფროსმა უ. ცქვიტინიძემ.

საზეიმო კრების მონაწილეებს მიესალმნენ ენგურჰესის გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. აბესაძე, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის უფროსი მემანქანე, კომუნისტური შრომის დამკვრელი ვ. გოდერიძე, „კავკასელექტროშელმშენის“ მთავარი ინჟინერი ა. გიგინეიშვილი, საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის ნაგებობათა სამეცნიერო-საკ

პარტიული ცხოვრება

დაძლეული უღელტეხილი

ყაზბეგის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

ხევი — საქართველოს კარიბჭე — ძველთაგანვე განთქმულია სახელოვანი მეცხვარეებით. მათი ვაჟკაცური ტრადიციების ერთ-ერთი გამგრძელებელია ყაზბეგელი თავჩობანი რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატი, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი ნიკოლოზ ქავთარაშვილი, რომელსაც კონფერენციის წინადღეს შეეხვდით. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რა წარმატებით მოვიდა იგი ნოლაის ზამთრის საძოვრებიდან, ღიმილით გვიპასუხა: — ცხვარი კარგად გამოვაზამთრეთ, ყოველ 100 ნერბზე, ნაცვლად 88 ბატკნისა, რაც სოციალისტურ გვქონდა ნაკისრი, 102 ბატკანი მივიღეთ, გადაკარბებით შეეხარულეთ მატყლისა და ხორცის წარმოების დაკალებები. საშუალოდ ერთ ცხვარზე 3 კილოგრამამდე მატყლი გავპარსეთ, ნაცვლად 2,5 კილოგრამისა. წინ დიდი ზამთარი გველის, ახლა გამოჩნდება მჭობნის მჭობნი... დანარჩენს — ჩვენს ავსა და კარგს — კონფერენციაზე მოისმენთ.

ოდითგანვე მოხეველთა ყველაზე დიდი სატკივარი ჯერის უღელტეხილი იყო. ბიდარა, როგორც აქაურები უღელტეხილს ეძახიან, მთელი ხუთი-ექვსი თვის მანძილზე ყველაზა ყაზბეგს საქართველოს ბარს რაიონებს. ორი წლის წინათ, ყაზბეგის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე ბევრი საყვედური ითქვა ბიდარაზეც და სხვა დაძლეველ „უღელტეხილებზეც“, მთისათვის დამახასიათებელ სხვა საჭირბოროტო საკითხებზეც.

ორი წელიწადი დიდი დრო არ არის, მაგრამ ამლებურად მუშაობის პირობებში ეს დროც საკმარისი გახდა, რომ ბევრი რამ, რაც ასე ბღელვებდათ მაღალმთიანი რაიონის მშრომელებს, დადებითად გადაწყვეტილიყო.

ამ დღეს ბარში თოვდა, მაგრამ უღელტეხილზე არავითარი დაბრკოლება არ შეგხვედრია, ბიდარა თითქოს დამორჩილებოდა ხალხის ნებასურვილს, თავისუფლად ატარებდა ორივე მხრიდან მომავალ ტრანსპორტს.

დიახ, უკვე მოქმედებს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება, რომლის ძალითაც 1975 წლიდან მოყოლებული საქართველოს სამხედრო გზა არ უნდა დაიკეტოს. ამ მიზნით ზვავსაშიშ ადგილებში გალერეებისა და ქარსაფარაღმდეგო ფარების ასაშენებლად გამოყოფილია 3 მილიონ მანეთზე მეტი.

ასე შეისმა ფრთები ხალხის ოცნებამ.

ბევრი „უღელტეხილი“ გადალახეს კონფერენციიდან კონფერენციამდე ხევის კომუნისტებმა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში და ამით ვეკაკაცურად უპასუხეს ხალხის ინტერესებისათვის პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას. მაგრამ არის ერთი მთავარი „უღელტეხილი“—სამთო მეცხოველეობის განვითარების რთული, მაგრამ საპატიო საქმე, რომელიც გადამწყვეტია რაიონის პარტიული ორგანიზაციისა და თვითეული კომუნისტის მოღვაწეობაში, ამის შესახებ ბევრი ითქვა რაიონული პარტიული ორგანიზაციის XXVI კონფერენციაზე პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ე. კვეკასაძის საანგარიშო მოხსენებასა და მოკამათეთა სიტყვებში.

კონფერენციამ ნათლად გვიჩვენა, რომ რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ, კომუნისტებმა საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, გაზარდეს თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობა. სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა შრომისა და ყოფაცხოვრების ყველა უბანზე ნეგატიურ მოვლენებს, რომლებიც ფეხრუბდნენ პარტიულ და სამეურნეო საქმიანობაში ახალ გამოჩენებთა მოშთებას.

ციფრებს განსაკუთრებული ძალა აქვთ, მათში, როგორც სარკეში, მშვენივრად ჩანს წარმატებაც და ნაკლოვანებაც. წლეულ კოლმეურნეობათა შემოსავალი 2 მილიონ მანეთს გადააჭარბებს. სასიხარულოა, რომ ხუთივე კოლმეურნეობა რენტაბელურია. რაიონის მშრომელებმა, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ცხვრისა და თხის სულადობის ხუთწლიანი გეგმა ვადამდე 102 პროცენტით შეასრულეს, ნერბისა — 102 პროცენტით, ხორცის წარმოების დაკალება განაღდებულია 107 პროცენტით. ნაცვლად 47.268 ცენტნერი ხორცისა, წარმოებულია 50.896 ცენტნერი. შემცირდა ცენტნერი მატყლისა და ხორცის თვითღირებულება. წლითიწლობით იზრდება ნამატის მიღების მაჩვენებელი. მომავალი წლის იანვრისათვის მოხვეეები საკოლმეურნეო ჯოგში იყოლიებენ 130 ათას ცხვარსა და თხას, ნაცვლად სოციალისტური ვალდებულებით გათვალისწინებული 120.500 სულისა.

მაგრამ, კონფერენციაზე ითქვა, რომ ჯერ კიდევ მაღალია მეცხვარეობის პროდუქტების ღირებულება. როგორც კობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. ბატაევმა, გორისციხის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ი. ავსაჯანიშვილმა, სნოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. სუჯაშვილმა და სხვებმა აღნიშნეს, ამის მთავარი მიზეზია მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის არასაკმარისი ზრუნვა. ნაკლოვანებებია ცხვრის ზოოვეტმომსახურებაშიც.

ყაზლარის ზამთრის საძოვრების გაუმჯობესებისა და რაციონალურად გამოყენების პრობლემებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები ყიზლარის პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. არაბელმა და ახალშენმნილი გიორთიანების უფროსმა გ. ონნიანმა. მათ თქვეს, რომ სამწუხაროდ, წლების მანძილზე 318 ათასი ჰექტარი საძოვარი ბუდის ანაბარად იყო მიტოვებული, მისმა ბარბაროსულმა გამოყენებამ, თითქმის მოსპო მცენარეული საფარი, როგორც ბეტონიან. კაცი იმ ტოტს ჭრიდა, რომელზედაც იჯდა... მეცნიერული განაგარიშებით, თვითეული ჰექტარი საძოვარი განკუთვნილია 0,8 ცხვრისათვის, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ჰექტარზე 3 ცხვარს კაძოვებთ. გარდა ამისა, არ წარმოებდა ცხვრის მორგეობითი ძოვება, არ ვიყენებდით ბალახეულ თესლებს, მინერალურ სასუქებს, ნიადაგის მორწყვას, არ ვებრძოდით სარეველა ბალახებს. დიდი რაოდენობით ცხვრის საძოვრებზე ყოფნა იწვევს ეროზიას, ზშირად მეურნეობები არღვევენ ფარის სტრუქტურას, არ იცავენ საძოვრებზე გადარეკვის გრაფიკს. წარსულის სუბიექტურმა მოვლენებმა, პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების მოუქნელმა მუშაობამ ის გამოიწვია, რომ ზამთრის საძოვრები ამჟამად ოდნავადაც ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას.

ახლა, როდესაც დასახულია ამოცანა გადავაქციოთ საქართველო სამთო მეცხოველეობის კლასიკურ რესპუბლიკად, დიდი ამოცანების წინაშე დგანან დაბა ჟოჩუნეთში არსებული დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკას ეკუთვნიან და, ამჟამად ერთ გაერთიანებაში არიან მოხვედრილნი. ისინი, კოლმეურნეობების ბამგეობებთან, პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად, ვალდებულნი არიან გადაეჭრათ ამაღლონ მწყემსთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების დონე. სამარცხვინოა, რომ მეცხვარეებს დღემდე საშუალნი არ აქვთ რეგულარულად მიიღონ ცხელი კერძი, უხარისხოა მათი სპეცტანსაცმელი. საძოვრებზე არ არის არცერთი სპორტმაბარო, კაპიტალური ან მოძრავი ობანი ფეხსაცმელების შემკეთებელი ან სხვა სახელოსნო. კოჩუბეის ფოსტის ერთადერთი ავტომანქანა, რომელიც ახალ ჟურნალ-გაზეთებსა და წერილებს უზიდავდა მწყემსებს, უმოქმედოდ დგას, ხოლო რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო არაფერით არ ეხმარება მეცხვარეებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ თ. ჯაფარიძემ ილაპარაკა მეცხვარეობის განვითარების პრობლემურ საკითხებზე, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენებაზე.

დელეგატებმა გ. კურკუმელმა, შ. ოდიშვილმა, შ. ფიცხელაურმა, ე. ღუდუშაურმა, შ. ჩქარეულმა, ვ. ყამარაულმა, გ. ავსაჯანიშვილმა, ბ. ბაგიშვილმა, ი. დავითაშვილმა გააკრიტიკეს რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ მაღალმთიანი რაიონის მშრომელთა მოთხოვნებს, აჭიანურებენ, ან წლების მანძილზე არაფერს არ აშენებენ რაიონში. აქ კვლავ აკლიათ ექიმები, პედაგოგები, ჭიანურდება კაპიტალური მშენებლობები, რაიისაკავშირყოფილ კვლავ ავარიულ მდგომარეობაშია, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ვაისად მაინც უნდა დაიწყოს 100-საწოლიანი საავადმყოფოს შენობის აგება.

კომუნისტთა ამ დიდ ფორუმზე ბევრი რამ ითქვა მთის სოფლების გაჭირვებაზე, მოსახლეობის მიერაციაზე. ბევრ დასახლებაში არ არის ელექტროშუქი, ბუნებრივი გაზი, საჭიროა არსებული გზების კეთილმოწყობა, სკოლების, მაღაზიების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა. რადიოფიცირების გარეშეა დატოვებული სოფლების უმრავლესობა, თრუსოს ხეობის სოფლები მოკლებულნი არიან ტელეგადაცემებს, ელექტროენერგიას.

ბევრი საგულისხმო ითქვა კონფერენციაზე მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაზე. ერთხმად მიღებულ დადგენილებაში დასახულია ამოცანები, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს ახალი წარმატებების მოპოვებას მეათე ხუთწლედში.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

სკკპ XXV ყრილობის უსასხვედრად

ხუთწლედის პრობლემები

გავმოხმაურება • წინადადება • პოლემიკა

განვიხილავთ პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცკ-ის პროექტს „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“.

მეცხოველეობაში უზრუნველვყოთ ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების უმნიშვნელოვანესი ზრდა. პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ამაღლების, სულადობის ზრდის, საკვებთან ეფექტიანი გამოყენების, პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და კვების პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების, ჯიშთსანაშენე მუშაობის სრულყოფის, შრომის მექანიზაციისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის საფუძველზე.

(პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან).

მეცხოველეობის აღმავლობის საფუძველი

მერძეულ მესაძროლეობას—ყურადღება!

სამწუხაროდ, მთელი რიგი რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებს შესავსები მოზარდეულის გამოსაზრდელად შექმნილი არ აქვთ სათანადო პირობები, ბევრგან მოზარდეულისათვის გამოყოფილი შენობები მოუწყობელია, არ არის რძის შემცველის შესამზადებელი საამქრო და სხვ. ამიტომ პირველ ხანებში სასურველი იქნება, რომ ამა თუ იმ რაიონში გამოიყოს ამისათვის შესაფერისი მეურნეობა და იქ თავი მოუყარონ სანამშენებელ ანკუთვნილ ნ-თვიან ჯიშიან მოზარდეულს, ხოლო შემდგომში მუშაობა წარმართონ სპეციალიზაციისაკენ იმ ანგარიშით, რომ გამოსაზრდელად მიიღონ უკვე 15-20 დღის ასაკის ხბორები.

მსხვილი მეცხოველეობის კომპლექსების შექმნასთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში მიზანშწონილი იქნება შესავსები მოზარდეულის გამოსაზრდელად შეიქმნას მთელი რიგი სპეციალიზებული მეურნეობანი, რომლებიც მსხვილი მექანიზებული მეურნეობებისა და მერძეული კომპლექსებისათვის გამოზრდიან მაღალპროდუქტიულ სარემონტო დეკეულებს, რის შედეგადაც იმატებს შესავსები მოზარდეულის პროდუქტიულობა.

ასეთი სისტემის გამოყენებით მეურნეობებსა და მსხვილ სამრეწველო კომპლექსებში შესაძლებელი გახდება მაღალპროდუქტიული ძროხების ხვედრითი წონა ნახირში ავიყვანოთ 70-80 პროცენტამდე, მოხდეს როგორც რძის მთლიანი წარმოების მკვეთრი გადიდება, ისე წველადობის მატება თვითეულ საფურაჟე ძროხაზე, ვინაიდან სპეციალიზაცია მერძეულ მესაქონლეობაში ხელს შეუწყობს რძის წარმოების გადიდებას.

დღევანდელი მდგომარეობა, როდესაც რესპუბლიკაში ძროხების ხვედრითი წონა ნახირის სულადობაში ძალიან დაბალია (28-30 პროცენტი), ვერ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და საჭიროებს დაუყოვნებლივ სათანადო ზომების მიღებას, მით უმეტეს მაშინ, როცა სულადობის შენარჩუნების ნებისმიერი ვინმესაგან მამრობით სულადობას 5-6 წლამდე და ეხარჯავთ ძვირადღირებულ საკვებს, რაც ჩვენი აზრით კოოპერ გაუმართლებელია.

საშუალებას მისცემს ძირითადი ყურადღება მიაქციოს პირუტყვის სწორ კვებას და ექსპლოატაციას, რაც თავის მხრივ მხოლოდ დადებით გავლენას მოახდენს რძის წარმოების გადიდებაზე.

ძროხების შესავსებად მოზარდეულის შერჩევა და გამოსაზრდელ მეურნეობებზე გადაცემა უნდა ხდებოდეს ორგანიზებულად. სანამშენე მოზარდეულის შერჩევას უნდა აწარმოებდეს კომისია, რომელშიც უნდა შედიოდნენ შესავსები პირუტყვის გამოსაზრდელი მეურნეობისა და სანამშენე და ხელოვნური დათესვის სადგურის ზოოვეტსპეციალისტები და იმ მეურნეობების წარმომადგენლები, რომლებიც ამ ბრძოლაში ვიღებთ მონაწილეობას.

სანამშენედ შერჩეული საძროხე ხბოები გამოსაზრდელ მეურნეობაში გადაკეთდეს ცალკე ბოქლომიან ბოქლომებში, ხელოვნური ფეხმძიმეობა ადრეულ ასაკში, ანუ 18 თვის ასაკში მოზარდეულის ცოცხალი წონა ჯიშისთვის დამახასიათებელი ზრდასრული ძროხის ცოცხალი წონის 60-70 პროცენტს აღწევდეს.

შესავსები მოზარდეულისათვის განკუთვნილი ულუფის სრულყოფისათვის საჭირო იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებმა დამუშავდინის სამინისტროს ფაქიზი ყურადღებით, ამ საკითხებზე ერთობლივ ინსტიტუტებმა ინტენსიურ ბალახეულ ბალახეულ ბალახეულ

ბასკეტის კალათა კონტროლიდან! № 107

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და მოსწავლეთა „შრომელთა წერილების განხილვისა და მიღების ორგანიზაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 29 აგვისტოს დადგენილებისა და „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და ხაჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგებზე იმსჯელა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

განცხადების უკან ადამიანია

ემოწმებით დადგინდა, რომ სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და შემოწმებულ სასწავლებლებში ვხედავთ აღნიშნული დადგენილებების მოთხოვნათა დარღვევებს და ნაკლოვანებებს. მარშან და აპრილს შემოწმების პერიოდისათვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში შესული მრავალ განცხადება-ხაჩივარზე, რომლებიც დაკმაყოფილებულ დაწესებულებებს გადაეგზავნა, სათანადო კონტროლი არ არის დაწესებული მათი განხილვა-გადაწყვეტის მიმდინარეობაზე. შემოწმებულ პერიოდში გაგზავნილი 3742 განცხადება-ხაჩივრიდან მხოლოდ 108 ფურცელია აყვანილი კონტროლზე. სამინისტროში არ იცავენ დადგენილ წესს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში განცხადება-ხაჩივრების და წინადადებების განხილვა-გადაწყვეტის მდგომარეობის სისტემატურად შემოწმებისათვის. 1974-1975 წლებში სამინისტროს მუშაკებმა მოქალაქეთა წერილების განხილვა-გადაწყვეტისა და პირადი მიღების დადგომარეობა 49 ორგანიზაციიდან ადგილზე შესწავლეს მხოლოდ სამ უმაღლეს სასწავლებელში შემოწმეს.

მეტ წილ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში არ სრულდება ზემდგომი ორგანოების დადგენილება საქმის წარმოების წესების თაობაზე, რაც იწვევს წერილებში დასმული საკითხების გადაწყვეტისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას. მაგალითად, 1974-1975 წლებში გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში რეგისტრაციაში გაუტარებლად 398 განცხადება დატოვეს, ხოლო მოქალაქეების ლ. კულიჩიშვილის, ა. კონდრატიევასა და სხვათა განცხადებები საერთოდ დაკარგეს. ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რეგისტრაციაში არ გაატარეს და უპასუხოდ დატოვეს სტუდენტების ჭ. ხარატიშვილის და დ. იაკობაშვილის განცხადებები. ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გეოლოგიური, სამთო, ენერგეტიკული ფაკულტეტების დეკანატებში რეგისტრაციაში გაუტარებლად 2322 განცხადება აღმოჩნდა. იმის გამო, რომ ამ განცხადებებში დასმული საკითხების გადაწყვეტის შესახებ აღრიცხვა არ არსებობს, სრული სურათის დადგენა ვერ მოხერხდა. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ფაკულტეტების დეკანატებშიც.

ი განცხადება-ხაჩივრები სახანაო-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი და მთელი რიგი სამინისტროები დღემდე არ ასრულებენ ზემდგომი ორგანოების მითითებებს სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებიდან გარეშე მობინადრეთა გამოსახლებისა და ორგანიზაცია-დაწესებულებათა გაყვანის შესახებ. ამ საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და წაყრუების შედეგად სტუდქალაქში ამჟამად ცხოვრობს გარეშე პირთა 42 ოჯახი, მათ შორის სტუდქალაქის თანამშრომელთა თერთმეტი ოჯახი, რომლებმაც წარსულ წლებში უკანონოდ დაიკავეს ბინები.

სამინისტროში ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ახალგაზრდა სპეციალისტთა თხოვნა-საჩივრებს მათი შრომითი დასაქმების შესახებ. ამტომაც არის, რომ მარტო 1975 წელს სამინისტროებმა და უწყებებმა 36 ახალგაზრდა სპეციალისტს უარი უთხრეს შრომითს მოწყობაზე.

სამინისტროს აპარატის ზოგიერთი მუშაკი ღრმად არ სწვდება მოქალაქეთა განცხადებებში აღნიშნული ფაქტების შინაარსს, ფორმალურად უდგება მათში დაყენებული პრინციპული საკითხების შესწავლა-გადაწყვეტის საქმეს და არ იღებს შესაბამის ზომებს დარღვევათა დროულად აღსაკვეთად. მაგალითად, 1975 წელს გაზეთის ერთ-ერთი რედაქციიდან სამინისტროში შევიდა ერთ-ერთი მოქალაქის განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო მ. ფორჩხიძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და საქონელცოდნეობის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების პირველ კურსზე უკანონოდ ჩარიცხვის ფაქტი. შემოწმებამ გამოავლინა, რომ ეს პირადენება ქართულ ენასა და ლიტერატურის წერით სამუშაოში ამკარად არ იმსახურებდა დადებით შეფასებას და გამომცდელმა ნამუშევარს ასეთი მინაწერი გაუკეთა: „აბიტურიენტმა არ იცის ტექსტი, საქართველოს ისტორიის ელემენტები და ქართული ენა“. მაგრამ ამავე დროს დამაკმაყოფილებელი ნიშანი დაუსვა. იგი აღნიშნულ განყოფილებაზე ჩარიცხეს.

საოცარია ის, რომ უკანონოდ მოქმედების დადგენის მიუხედავად, სამინისტროს უმაღლესი განათლების განყოფილების უფროსის მოადგილემ შ. ჯულაიძემ განცხადებელს უპასუხა: მოქალაქე მ. ფორჩხიძემ „მისაღები გამოცდები ჩაბარა არსებული წესების მიხედვით“. ეს საკითხი კი განუხილავი დატოვა და მას სათანადო მსვლელობა არ მისცა.

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების განყოფილებაში წლების მანძილზე შრომელთა წერილების დადგენილ ფორმალურად უდგება მათში დაყენებული პრინციპული საკითხების შესწავლა-გადაწყვეტის საქმეს და არ იღებს შესაბამის ზომებს დარღვევათა დროულად აღსაკვეთად. მაგალითად, 1975 წელს გაზეთის ერთ-ერთი რედაქციიდან სამინისტროში შევიდა ერთ-ერთი მოქალაქის განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო მ. ფორჩხიძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და საქონელცოდნეობის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების პირველ კურსზე უკანონოდ ჩარიცხვის ფაქტი. შემოწმებამ გამოავლინა, რომ ეს პირადენება ქართულ ენასა და ლიტერატურის წერით სამუშაოში ამკარად არ იმსახურებდა დადებით შეფასებას და გამომცდელმა ნამუშევარს ასეთი მინაწერი გაუკეთა: „აბიტურიენტმა არ იცის ტექსტი, საქართველოს ისტორიის ელემენტები და ქართული ენა“. მაგრამ ამავე დროს დამაკმაყოფილებელი ნიშანი დაუსვა. იგი აღნიშნულ განყოფილებაზე ჩარიცხეს.

საოცარია ის, რომ უკანონოდ მოქმედების დადგენის მიუხედავად, სამინისტროს უმაღლესი განათლების განყოფილების უფროსის მოადგილემ შ. ჯულაიძემ განცხადებელს უპასუხა: მოქალაქე მ. ფორჩხიძემ „მისაღები გამოცდები ჩაბარა არსებული წესების მიხედვით“. ეს საკითხი კი განუხილავი დატოვა და მას სათანადო მსვლელობა არ მისცა.

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების განყოფილებაში წლების მანძილზე შრომელთა წერილების განხილვის საქმეში ვლინდებოდა სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც მეთითებულია სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებებშიც, მაგრამ მდგომარეობა არ გაუმჯობესდა.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა სამინისტროს სხვა განყოფილებებშიც. შემდეგ დადგენილებამი აღნიშნულია, რომ სამინისტროს აპარატის სახალხო კონტროლის ჯგუფი (ყოფილი თავმჯდომარე თ. ბეჟანოვი, ამჟამად ს. კვიჟინაძე) და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სასწავლებლების სახალხო კონტროლის ჯგუფები საკმარის ყურადღებას არ აქცევენ მოქალაქეთა წერილების განხილვა-გადაწყვეტისა და პირადი მიღების ორგანიზაციის საკითხებს, სათანადო დახმარებას არ უწევენ სასწავლებლების დირექციებსა და პარტიულ ორგანიზაციებს ამ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმის გაუმჯობესებაში.

კომიტეტმა ამ საკითხზე მიღები სათანადო დადგენილება.

ავამაღლოთ შრომისა და წარმოების დისციპლინა. უზრუნველვყოთ სამუშაო დროის სულ უფრო სრული [illegible] ციონალური გამოყენება, ეფექტიანობისა და შრომის არამწარმოებლური ხარჯების აღმოფხვრა.

(პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან).

ადგილობრივ კომიტეტებში

ფყალტუბო

მომსახურების სფეროს ორგანიზაციებში ფასებისა და ტარიფების გამოყენების საქმეში ეროგვარი სასხეკეთო ძვრები მოხდა, მაგრამ ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. ამაზე იმსჯელა ამას წინათ რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა. შემოწმების დროს შეკვეთების მიღების, ანგარიშსწორების წესების დარღვევის ფაქტები გამოვლინდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში (გამგე გ. ფეფელაშვილი), პავილიონში (ბრიგადირი რ. შალამბერიძე), ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის ატელიეში (გამგე გ. ხანთაძე), წყალტუბოს ავტოტექმომსახურების სადგურში (უფროსი მ. ლეკვეიშვილი), კომუნალურ საწარმოთა კომბინატის სახლმმართველობებსა და წყალსადენ-კანალიზაციის მეურნეობების სისტემაში (უფროსები გ. ჩეჩელაშვილი, გ. ჩირგაძე, ბ. მურადაშვილი, დ. ფუტკარაძე).

კომიტეტმა ავტოტექმომსახურების სადგურის უფროსს მ. ლეკვეიშვილს, კომუნალურ საწარმოთა კომბინატის მთავარ ინჟინერს გ. ცხაკაიას საყვედური გამოუცხადა, ხოლო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსს გ. იოსელიანს შენიშვნა მისცა.

ხობი

კოლმეურნეობებში ნიადაგის კულტურულ-ტექნიკური გაუმჯობესების სამუშაოების მიმდინარეობაზე იმსჯელა სახალხო კონტროლის კომიტეტმა. როგორც ითქვა, ეს სამუშაოები 800 ჰექტარზე უნდა ჩატარებულიყო, მათ შორის, ამოძირკვა, ნიადაგის მოსწორება, პლანტაჟი 395, ხოლო ყამირის ხვნა 305 ჰექტარზე და ა. შ.

შემოწმების მომენტისათვის ეს სამუშაოები მხოლოდ 622 ჰექტარზე იყო შესრულებული. ამ საქმეს „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილება აწარმოებს (მმართველი რ. სიგუა). ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არ იყო ხობის, ხეთის, ნოჯიხევის, ახალი ხიბულის და სხვა კოლმეურნეობებში, სადაც ეს სამუშაოები მხოლოდ 66,7 პროცენტით იყო შესრულებული. კომიტეტმა „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების მმართველს რ. სიგუას შენიშვნა მისცა.

ადიგენი

რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში ზამთრის სეზონისათვის ტექნიკის მოსამზადებლად კარგად არ იმუშავეს სოფელ უდის კოლმეურნეობამ, ვარხნის საბჭოთა მეურნეობამ და „საქსოფლტექნიკის“ რაიონულმა განყოფილებამ. სოფელ დიდი სმადის კოლმეურნეობაში სილოსის ჩადების შემდეგ თითქმის ორ თვეზე მეტია სილოსის საკვები აგრეგატი ხელუხლებლად გდია. ბევრგან სათესები, გუთნები და სხვა მექანიზმები ღია ცის ქვეშ არის მიტოვებული. რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების მმართველის მოვალეობის შემსრულებელი პ. აფრიამაშვილი, ვარხნის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ს. ზაზაშვილი და სოფელ უდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ობოლაშვილი გააფრთხილა, რომ თუ მოკლე დროში არაფერს იღონებენ, მათ მიმართ მკაცრი ზომები გატარდება.

ქედა

რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა თავის ამასწინანდელ სხდომაზე იმსჯელა ბუკურის ხილის ღვინისა და ციტრუსოვანთა ნაყენების, წვენების საამქროს მუშაობის მოულოდნელი შემოწმების შედეგებზე. გამოირკვა, რომ საამქროში ბრღეოდა ხილის მიღება-გაფორმებისა და დამუშავების დადგენილი წესები, დაბალ დონეზე დგას შრომის დისციპლინა. შემოწმების დღეს გადამუშავების პროცესში ოსებული ხილის ლაბორატორიული ანალიზი სპეციალურ ჟურნალში არ იყო გატარებული. ლაბორანტმა რ. მებუკემ იგი ერთი დღის შემდეგ ადგილზე მიუსვლელად გააკეთა. აგრეთვე ადგილზე აღმოჩნდა სამტონაზე მეტი გაფუფრომებელი პროდუქცია. დალუქულ იქნა საამქრო. მეორე დღეს ლუქი ახსნილი დახვდათ შემმოწმებლებს, რამაც უარყოფითად იმოქმედა შემოწმების ხარისხზე. შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ ჩატარებული გამოძიებით ვერ დადგინდა ვინ იყო დამნაშავე, ვინ მოხსნა ლუქი. რაიონის კონტროლის კომიტეტმა ცნობად მიიღო, რომ ბუკურის ხილის ღვინისა და ციტრუსოვანთა ნაყენების სისტემაში ამჟამად დოკუმენტური რევიზია მიმდინარეობს. საამქროს ოსტატი ო. დარჩიძე ქარხნის დირექციის მიერ განთავისუფლებულია სამუშაოდან. ბუკურის ქარხნის დირექციას დაევალა სათანადო სასჯელი დაადოს ლაბორანტ რ. მებუკეს.

აბაშა

უკანასკნელ ხანს ბევრი რამ გაკეთდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად. მაგრამ ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია ავადმყოფთა კვების პროდუქტებით მომარაგებისა და სახეების მიხედვით კერძების დამზადებაში შემოწმებით წლეულს ცხრა თვის მანძილზე (ცენტრალურ საავადმყოფოში 53,438 საწოლდღეზე ნორმით 59.423 მანეთი უნდა დახარჯულიყო, ფაქტიურად კი 45.874 მანეთი დაიხარჯა. ნაკლოვანებებია აგრეთვე კვების პროდუქტების აღრიცხვაობაში.

მიწარის ოსტატები

კმ, ჯრის ასეთი დაფუძნებულია ფყალტუბოს რაიონში, მას ვეტსანიტარული რაზმი ეწოდება. ამ რაზმის მოვალეობაა მინდვრის მავნებლების მოსპობისათვის სამუშაოები ჩაატაროს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, გააფორმოს ხელშეკრულებები შესაბამის სამეურნეო ხელმძღვანელებთან და შემდგომ კონტროლი დაუწესოს მის შესრულებაზე.

ერთი წლის წინათ რაიონის ვეტერინარულ რაზმსა (უფროსი ზ. ფესტანეიძე) და სოფელ ფარცხანაყანევის მერძევეობა-მეგობნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციას (ყოფილი დირექტორი ლ. კორძაძე) შორის გაფორმდა ხელშეკრულება მეცხოველეობის ფერმაში ასეთი ღონისძიებათა ჩატარების შესახებ, მაგრამ არცერთი მხარე არ დაინტერესებულა იმ ობიექტების ფართობის გაზომვით, სადაც ეს ღონისძიება უნდა შესრულებულიყო. ხელშეკრულებაში გაითვალისწინეს, რომ წელიწადში თითქოს 19.000 კვადრატულ მეტრ ფართობს ჩაუტარდებოდა ექვსჯერადი დამუშავება და ყოველივე ამის შედეგად მეურნეობა ვალდებული იყო ვეტერინარული რაზმისათვის 1938 მანეთი გადაეხადა.

გადიოდა თვეები, დგებოდა აქტები, ყოველ ერთჯერად დამუშავებაზე ვეტერაზმის სასარგებლოდ მეურნეობა 323 მანეთს იხდიდა.

მაგრამ აქვს კი მეცხოველეობის ფერმას 19.000 კვადრატული მეტრი ფართობი? — სწორედ ამ კითხვით დაინტერესდნენ მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფი და პირადად მისი თავმჯდომარე ნ. თევდორაძე.

სახალხო კონტროლის ჯგუფმა დადგინა, რომ მეურნეობის ობიექტების ფართობი, რომელსაც მინდვრის მავნებლებისადმი გაწეშედა სჭირდებოდა, მხოლოდ 7677 კვადრატული მეტრია. შესრულებულ სამუშაოზე აქტები ფიქტიურად ფორმდება, ჟურნალში ხელს იფარავ საბჭოთა მეურნეობის თანსაგზე.

საქმეში ფყალტუბოს რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტი ჩაერია. ანალოგიური დარღვევა აღმორჩნდა სოფელ მაღლაკის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ამავე სამუშაოს ასრულების პროფდეზგანყოფილება, რომელსაც შ. ბაკაია ხელმძღვანელობს. ვეტრაზმის „მუშაობის გამოცდილება“ კარგად გამოიყენეს პროფდეზგანყოფილებამ, რომელმაც მაღლაკის საბჭოთა მეურნეობაში სამუშაოთა ჩატარება 30.000 კვადრატულ მეტრზე დაანგარიშა, მაშინ, როცა ეს ფართობი მხოლოდ 17480 კვადრატულ მეტრს შეადგენს. აქაც ფიქტიური აქტები, უსინდისოდ ჩაჯიბული თანხები... მარტო ასეთი ოპერაციებით ფარცხანაყანევის მერძევეობა-მეგობნეობის საბჭოთა მეურნეობას 584 მანეთი, ხოლო მაღლაკის საბჭოთა მეურნეობას 418 მანეთი და 10 კაპიკი წაელიტეს.

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა მკაცრად იმსჯელა ამ საკითხზე და სათანადო დადგენილებაც მიიღო, რის შედეგად უკანონოდ მითვისებული თანხები მეურნეობებს დაუბრუნდა, დამნაშავეებს კი სათანადო მიეზღოთ. ფარცხანაყანევის მერძევეობა-მეგობნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის ფხიზელი მოქმედება ჭეშმარიტად რომ მოსაბაძია!

დ. გედენიძე.

სულ უფრო ფართოდ გამოვიყენოთ შეხაძლებლობანი სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის, მშრომელთა საზოგადოებრივი აქტიურობისა და ინიციატივის გამოვლენისათვის, წარმოების მართვაში მათი მონაწილეობისათვის.

(პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან).

ფორმალიზმის ტყვეობაში

ფასებისა და პატრონობის წესების დაცვის კონტროლის კომისიები თავის დანიშნულებას ვერ ამართლებენ

პარტიის ტყიბულის მეექვსე საქალაქო კონფერენციაზე, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ გაიმართა, ითქვა, რომ მშრომელთა ომსახურების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ვაჭრობის სფეროში.

ბუნებრივია, ისმება კითხვა, კეთდება თუ არა ყველაფერი ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის დასამყარებლად, აქ ფეხმოკიდებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად? საზოგადოებრივი კონტროლის ყველა საშუალება თუ არის გამოყენებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში?

ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ რ. ჯანელიძის ბინებში ვართ. მაგიდაზე ძველი ფონისძიებათა აღრიცხვის ჟურნალი, სავაჭრო ქსელში მოწყობილი რეიდის მონაწილეთა მიერ შედგენილი აქტები, კომისიის ევრთა მოხსენებითი ბარათები და ახსნა-განმარტებები, ადმინისტრაციული ორგანოებში გაგზავნილი ბრძანებათა ტექსტების ასლები, ბრძოლის ოქმები, რომლებიც ამ კომისიის ერთგვარ მუშაობაზე მეტყველებენ.

მაგრამ ეს კომისია თავის მოღვაწეობას მაინც ვერ ასრულებს. ეს მუშაობაში მთელი რიგი ნაკლოვანებები აქვს. იგი ვერ ახორციელებს მუდმივ და ქმედით საზოგადოებრივ კონტროლს ტყიბულში საცალო ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის საბჭოთა ვაჭრობის წესების დაცვისადმი. მიუხედავად იმისა, რომ მშრომელთა დეპუტატების ოლქობრივი საბჭოების არჩევნებამდე ხანგრძლივ დროი გავიდა, აქ დღემდე სხდომაც არ ჩატარებულა. ეს მაშინ, როცა ბუნებრივია, ისმება თვეში ერთხელ მაინც უნდა იწვეოდეს. კომისიის ერთ-ერთ ნაწილში შემადგენლობასთან ერთ ჩატარებულა საინსტრუქტაჟო სემინარი, წევრებს შორის განაწილებული არ არის ოლიანობა, ზოგიერთი წევრი ბოლოდროინდელ ინსტრუქტირებულია სხვა უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დავალებებით. თვითონ კომისიის თავმჯდომარეს რ. ჯანელიძეს 7 პარტიული და საზოგადოებრივი დავალება აქვს, რაც ყოველგვარ გაუმართლებელია.

ამჟამად არსებული დებულების თანახმად ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი ქმედითი, საყოველთაო-საზოგადოებრივი კონტროლი რომ განხორციელდეს, კომისიები ასევე იქმნება ყველა სავაჭრო ორგანიზაციასთან, მაღაზიებთან, საზოგადოებრივი კვების და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების საწარმოებთან. ასეთი ობიექტები ამ მეშახტეთა ქალაქში სამასამდეა.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი ჩამოყალიბებული იყო ყველა მათგანთან ერთად ეექვმნა კომისია, მაგრამ ეს ასე როდი გაკეთეს. აქ მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან აღნიშნული ობიექტად საჭირო კომისიები არავინ ექმნა. საქალაქო საბჭოს აღმასკომის ყოფილი ხელმძღვანელი ადგილზე მისვლით მხოლოდ სამ უმაღლეს სასწავლებელში შეამოწმეს.

მეტ წილ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში არ სრულდება ზემდგომი ორგანოების დადგენილება საქმის წარმოების წესების თაობაზე, რაც იწვევს წერილებში დასმული საკითხების გადაწყვეტისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას. მაგალითად, 1974-1975 წლებში გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში რეგისტრაციაში გაუტარებლად 398 განცხადება დატოვეს, ხოლო მოქალაქეების ლ. კულიჩიშვილის, ა. კონდრატიევასა და სხვათა განცხადებები საერთოდ დაკარგეს. ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რეგისტრაციაში არ გაატარეს და უპასუხოდ დატოვეს სტუდენტების ჭ. ხარატიშვილის და დ. იაკობაშვილის განცხადებები. ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გეოლოგიური, სამთო, ენერგეტიკული ფაკულტეტების დეკანატებში რეგისტრაციაში გაუტარებლად 2322 განცხადება აღმოჩნდა. იმის გამო, რომ ამ განცხადებებში დასმული საკითხების გადაწყვეტის შესახებ აღრიცხვა არ არსებობს, სრული სურათის დადგენა ვერ მოხერხდა. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ფაკულტეტების დეკანატებშიც.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

განცხადების უკან ადამიანია

ცოტა ხაზრუნავი როდი აქვთ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მაღლივმშენის № 10 ტრესტის სახალხო კონტროლიორებს. მათი ენერგიული მოღვაწეობის შედეგიც არის, რომ ტრესტის კოლექტივი წარმატებით ასრულებს დავალებას. კარგად მუშაობენ № 7 მპირკეთების სამმართველოს, № 3 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს, რკინა-ბეტონის მეოთე ტრესტის ქარხნის, ხელშემწყობი მცირე მექანიზაციის უბნის კოლექტივები.

სურათზე გამოსახული არიან ამ ტრესტის სახალხო კონტროლიორები (მარცხნიდან): ინჟინერ-მექანიკოსი კ. ახალაძე, მშენებელი მუშა ხ. ქარხელაძე, კომპლექსური ბრიგადების ხელმძღვანელები ა. ინასარიძე და გ. კობახიძე, რომლებიც ამოწმებენ აგურის წყობის ხარისხს.

ბ. ჰუბერიანის ფოტო.

ოჯახური კომფორტი, მოხდენილი ჩაცმულობა და პირადი ჰიგიენა დღევანდელობის ჰარმონიაა. რეალური ხელფასის ზრდამ, შრომელთა მტკიცე ბიუჯეტმა აამაღლა ადამიანთა გემოვნების დონე, მოთხოვნილება. ახლა დღის წესრიგში დგას ყოფა-ცხოვრების სამსახურის სადღეისოდ გარდაქმნა, დარგისამი ხელმძღვანელობის ისე წარმართვა, რომ ადამიანებს შეუმსუბუქდეთ საოჯახო შრომა.

— ამ მხრივ მართლაც რომ ბევრი საზრუნავი გვაქვს ყველას — განაცხადა საუბარში პარტიის საჩხერის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ღლონტმა. ჩვენთან არც თუ იშვიათია მთის ზონის ისეთი სოფლები, რომლებიც რაიონის ცენტრს დიდად არის დაშორებული და ზოგიერთში მანქანაც კი ვერ მიდის. აი, თუნდაც ერთ-ერთი მათგანი — სოფელი ხვანი. აქ ათასამდე ადამიანი ცხოვრობს. სამანქანო გზის გაყვანაზე კი ახლა დავიწყეთ ზრუნვა და ამის შემდეგ, თვითონ განსაჯეთ, როგორ გვექნება დაყენებული მშრომელთა მომსახურება.

ხვანი გამონაკლისი არ არის. რაიონის 32 დასახლებული პუნქტის 9.800 მცხოვრები მოკლებულია საყოფაცხოვრებო მომსახურებას. ეს საქმე არც იმ სოფლებშია კარგად დაყენებული, სადაც მუშაობის შედარებით უკეთესი პირობებია.

მომსახურების სფეროს ახალი მოთხოვნების შესაბამისად დაყენება რთული და პრობლემური საქმეა. იგი პატიოსან და გამოცდილ კადრებს მოითხოვს. ამ საზომით მიუდგა პარტიის რაიონული კომიტეტი საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშაობის შესწავლას და ბევრი ალმაშფოთებელი ნაკლიც გამოავლინა.

დადგენილია, რომ საბინაო მშენებლობის უბნის სამუშაოთა მწარმოებელი პ. ლაბუჩიძე სისტემატურად სჩადიოდა სიყალბეს. იგი ცემენტს, ხე-ტყისა და სახურავის მასალებს ძვირად ყიდდა და ყალბ საბუთებს აძგენდა. ყალბისმქმნელი გარიცხულია პარტიის რიგებიდან. უკონტროლობისა და სუსტი მუშაობისათვის სამუშაოდან გაათავისუფლეს სამმართველოს უფროსი თ. გოშაძე, საყვედური გამოეცხადა პარტიული ორგანიზაციის მდივანს ბ. დეკანოიძეს.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ახალმა ხელმძღვანელობამ საქმე დაძრა ადგილიდან. ბოლო ოთხი თვის მანძილზე სისტემატურად სრულდება გეგმები და შეიმჩნევა მომსახურების კულტურის ამაღლება, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ფერთმეტ თვეში ერთ სულ მოსახლეზე გაწეულია 6.06 მანეთის მომსახურება, საერთო გეგმის შესრულებას ათეულ ათასობით მანეთი დააკლეს. რაიონში დაწერილია 16 სახის მომსახურება, აქედან 11-ში გეგმა არ შესრულებულა.

უკანასკნელ ხანებში რაიონს გამოეყო ერთი ტრაქტორი ხეტყის გამოსაზიდად, სამ-სამადგილიანი პავილიონები ააგეს გორისაში, არგვეთში, ჩიხაში, სარეკში, საღურგლო სახელოსნო გაიხსნა პერევში, სახერხი ქარხანა — ცხომარეთში და სხვ.

ყოველივე ეს კარგია, მაგრამ დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თუმცა იგრძნობა ერთგვარი გაუმჯობესება, კვლავ არადამაკმაყოფილებელია. ფიცრებითა და ფანერებით შეპეტილი წვრილ-წვრილი სახელოსნოები ძველი დუქნების დონეზე რჩება, უფრო მეტიც — ხელოსნური მდგომარეობაა კორბოულის სადურგლო სახელოსნოში.

ნებასურვილის მიხედვით მუშაობენ ქვაბების შემკეთებლები დიმიტრი და ზაქრო გრძელიშვილები. ისინი სოფლებში ყიდლობენ სპილენძის ნახმარ ჭურჭლებს, აფლობენ ზოდებად და შემდეგ აკეთებენ საარეკ ქვაბებს. იქვე სახელოსნოში გასაყიდად ედგათ 100-ლიტრიანი ახალი ქვაბი, მაგრამ საარეკსკურანტო ფასი არ ეწერა. მათი აზრით, ფასი გარიგების საქმეა. სამეკედლოში ყველაფერი პირადი საკეთრებაა, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოდან ისინი მხოლოდ ნახშირს იღებენ.

ზეინკალ გურამ სისვაძეს წლეულს სამმართველოდან მაგთული საერთოდ არ მიუღია. შემოწმებისას კი მას 65 კვადრატული მეტრი ბადე აღმოაჩნდა მზად, ხოლო 200 კილოგრამი დასამუშავებლად ჰქონდა გამზადებული. ასევე საკუთარი ინიციატივით შეძენილ ნედლეულზე მუშაობენ ხელოსნები გ. არუთინოვი და ბ. აბრამიშვილი.

საკუთარ დუქნებად გადაქცეულ სახელოსნოებში გამართულია ეკონომიკისა და საქონელცოდნეობის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების პირველ კურსზე უკანონოდ ჩარიცხვის ფაქტი. შემოწმებამ გამოავლინა, რომ ეს პირადენება ქართულ ენასა და ლიტერატურის წერით სამუშაოში ამკარად არ იმსახურებდა დადებით შეფასებას და გამომცდელმა ნამუშევარს ასეთი მინაწერი გაუკეთა: „აბიტურიენტმა არ იცის ტექსტი, საქართველოს ისტორიის ელემენტები და ქართული ენა“. მაგრამ ამავე დროს დამაკმაყოფილებელი ნიშანი დაუსვა. იგი აღნიშნულ განყოფილებაზე ჩარიცხეს.

საოცარია ის, რომ უკანონოდ მოქმედების დადგენის მიუხედავად, სამინისტროს უმაღლესი განათლების განყოფილების უფროსის მოადგილემ შ. ჯულაიძემ განცხადებელს უპასუხა: მოქალაქე მ. ფორჩხიძემ „მისაღები გამოცდები ჩაბარა არსებული წესების მიხედვით“. ეს საკითხი კი განუხილავი დატოვა და მას სათანადო მსვლელობა არ მისცა.

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების განყოფილებაში წლების მანძილზე შრომელთა წერილების ფორმალურად უდგება მათში დაყენებული პრინციპული საკითხების შესწავლა-გადაწყვეტის საქმეს და არ იღებს შესაბამის ზომებს დარღვევათა დროულად აღსაკვეთად. მაგალითად, 1975 წელს გაზეთის ერთ-ერთი რედაქციიდან სამინისტროში შევიდა ერთ-ერთი მოქალაქის განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო მ. ფორჩხიძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და საქონელცოდნეობის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების პირველ კურსზე უკანონოდ ჩარიცხვის ფაქტი. შემოწმებამ გამოავლინა, რომ ეს პირადენება ქართულ ენასა და ლიტერატურის წერით სამუშაოში ამკარად არ იმსახურებდა დადებით შეფასებას და გამომცდელმა ნამუშევარს ასეთი მინაწერი გაუკეთა: „აბიტურიენტმა არ იცის ტექსტი, საქართველოს ისტორიის ელემენტები და ქართული ენა“. მაგრამ ამავე დროს დამაკმაყოფილებელი ნიშანი დაუსვა. იგი აღნიშნულ განყოფილებაზე ჩარიცხეს.

თითქოს კერძო დუქანია...

სერიოზული ნაკლოვანებები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში

ბი თავიანთი იარაღით მუშაობენ, მათი უმრავლესობა არავითარ მომარაგებას არ იღებს და არც პასუხისმგებლობას გრძნობს ვინმეს წინაშე. ხელოსნთა უმრავლესობა შეკვეთის მიღების დროს არ აფორმებს ქვითარს, მისი შევსება შემდეგ, სურვილისამებრ ხდება გეგმის დასაბალანსებლად. ასეთი მდგომარეობა აღმოჩნდა შემოწმებული 33 ობიექტიდან 27-ში.

შეკვეთების გაფორმებლად გასაყიდად გაკეთებული მაგიდები, აკვნები, მავთულის ბადე, რკინ

23 დეკემბერი

მსოფლიო დღეს

ინტერნაციონალისტური სოლიდარობის ნიშნით

კუბის კომპარტიის პირველმა ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

ჰავანა. (საკდესი). მუშაობა დაამთავრა კუბის კომუნისტური პარტიის პირველმა ყრილობამ.

ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, კომუნისტური და მუშათა პარტიების სოლიდარობის ნიშნით. ეს მკაფიოდ გამოიხატა ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მისასალმებელ წერილში. სიტყვაში, რომელიც ყრილობაზე წარმოთქვა სკკპ დელეგაციის მეთაურმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა, აგრეთვე სხვა მოძმე პარტიების წარმომადგენელთა გამოსვლებში.

ჩვენი პარტიებისა და ჩვენი ქვეყნების მეგობრობა შედუღაბებულია პარქსიზმ-ლენინიზმითა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმით, აღინიშნა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ტ. ჟივკოვმა. ჩვენ გვიერთიანებს სოციალიზმის მშენებლობის საერთო ინტერესები და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩვენი საერთო ბრძოლა. ჩვენ გვაერთიანებს ურღვევი მეგობრობა საბჭოთა კავშირთან.

ჩვენ ერთი იდეები და მიზნები გვაქვს, თქვა ყრილობაზე უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. კადარმა. ჩვენ ყველანი ერთად მივდივართ სოციალიზმის მშენებლობის გზით, ერთად ვიბრძვით მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის. ჩვენ ვამტკიცებთ ერთობას საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან.

მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დიდი მნიშვნელობის შესახებ ყრილობაზე ილაპარაკეს სხვა ქვეყნების კომუნისტთა წარმომადგენლებმა.

ყრილობის ბოლო სხდომაზე გამოაცხადეს კუბის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოთა არჩევნების შედეგები.

კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულია ცენტრალური კომიტეტის 112 წევრი და 12 წევრობის კანდიდატი.

მთელი დარბაზის ტაშის გრიალში კუბის კომუნისტური მოძრაობის ვეტერანმა ფაბიო გრობარმა განაცხადა, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამხანაგი ფიდელ კასტრო ერთხმად აირჩია კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. ტრიბუნაზეა ფიდელ კასტრო. მან ყრილობას წარუდგინა პლენუმის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხანაგი რაულ კასტრო, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები.

პოლიტბიუროს შემადგენლობაში აირჩიეს 13 ამხანაგი: ფიდელ კასტრო რუსი, რაულ კასტრო რუსი, ოსვალდო დორტიკოს ტორადო, ხუან ალმეიდა ბოსკე, რამონ ვალოდეს მენენდესი, არმანდო ჰარტ დავალოსი, გილერმო გარსია ფრია, სერხიო დელ ვალე ხიმენესი, ბლას როკა კალდერიო, ხოსე რამონ მაჩადო ვენტურა, კარლოს რაფაელ როდრიგეზ როდრიგეზი, პედრო მირეტ პრიეტო, არნალდო მილიან კასტრო.

შემდეგ ფიდელ კასტრომ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა.

ყრილობის დასასრულს შესრულდა „ინტერნაციონალი".



ფალვა დადიანის ძეგლი

22 დეკემბერს ხელოვნების მუშაკთა სახლის ბაღში გაიმართა შ. დადიანის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი. მიტინგი მეხავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. რიგვავამ.

...ძეგლს ჩამოხსნეს თეთრი საბურველი. შეკრებილთ თვალწინ წარმოუდგა საქართველოს სახალხო მხატვრის ნ. კანდელაკის ნამუშევარი — მწერლის ბიუსტი (არქიტექტორი ვ. ჭურთოშვილი).

მწერლისა და თეატრალური მოღვაწის დიდ შემოქმედებითს გზაზე, მის შესანიშნავ რომანებსა და პიესებზე თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა კრიტიკოსმა ბ. ფღენტმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ.

იმავე დღეს ქართველმა მწერლებმა და თეატრალურმა მოღვაწეებმა ყვავილებით შეამკეს შალვა დადიანის საფლავი მთაწმინდის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

(საქინფორმი).

მეგობრობა თეატრთან

შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში გაიმართა სალამო, რომელიც მიეძღვნა თეატრალური ხელოვნების რესპუბლიკური კვირეულის „თეატრი და ბავშვები" დამთავრებას.

ნორჩი მაყურებლის წინაშე გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. გურაბანიძე. სტუმრები წარმოთქვეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ და უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა გ. გეგეჭკორმა და მ. ჩახავამ, საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა, სელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ე. გუბუშვილმა, რესპუბლიკის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორმა ზ. ლომიძემ და სხვებმა.

გამოაცხადეს კვირეულის კონკურსებში გამარჯვებულ მოსწავლეთა გვარები. (საქინფორმი).

სიმღერა ფრთას ასხამს ოცნებას

გვხიბლავს კარგი სიმღერა, სულში და გულში ჩაწვდომი მელოდია. ამიტომაც არის, რომ შინ და გარეთაც, სამშობლოშიც და საზღვარგარეთაც უყვართ ქართული ესტრადის პოპულარული მომღერალი, საესტრადო სიმღერების ავტორი ეთერ ჭელიძე. მაგონდება ომისშემდგომი წლების შემოქმედებითი ცხოვრება, ბავშვთა თვითმოქმედი ოლიმპიადების მონაწილე გოგონა, ხელში დიდი გიტარა რომ ეჭირა, სცენაზე ცეროდენასავით რომ ჩანდა, პატარა თითებით რომ აღფუფნებდა ზვიდ სიმს და დარბაზს მშვენიერი მელოდიები ეფინებოდა. შემდგომში ეს გოგონა ესტრადის საიმედო ძალა გახდა.

ეთერ ჭელიძის მუსიკალური ნიჭის თაყვანისმცემელთა რიცხვს მეც ვეკუთვნი და მახარებს მისი ყოველი წარმატება — ახალი ფირფიტა თუ კონკურსებში, ფესტივალებზე მონაწილეობა, მისი გამოსვლები საუკეთესო ორკესტრების თანხლებით. საამო დაბალი ტემბრის ხმა, იშვიათი მუსიკალობა, ტემპერამენტი, არტისტიზმი — აი რა მოსწონს მსმენელს. დიდი მადლობა მინდა გამოვთქვა, რომ ეთერი ჩემს სიმღერებს საუხოოდ ასრულებს ქართულ კინოფილმებში.

ნიჭიერი მომღერლის მდიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფია ყოველდღიურად ივსება საინტერესო მოვლენებით. ახლახან ხელოვნების მუზეუმის სახლში ეთერ ჭელიძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა. აქ კიდევ ერთხელ დადასტურდა ის ფაქტი, რომ მომღერალი შემოქმედებითი ძალების აყვავების პერიოდშია, დიდი ხიხარული და ესთეტიკური ტკბობა მოაქვს მსმენელისათვის. მისი სიმღერა ფრთას ასხამს კეთილ, ლამაზ ოცნებას.



ს. ციხცაძე,
საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, პროფესორი.

„საბჭოთა მედიცინა" № 6

გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთვიური ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის" მორიგი, მეექვსე ნომერი.

ჟურნალის ახალ ნომერს აქვს განყოფილებები: „თეორიული და პრაქტიკული მედიცინა", „სიახლე მედიცინაში", „ჩვენი კალენდარი", „მედიცინის ისტორია", „სოციალური ჰიგიენა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია", „დისკუსია", „რეცენზიები", „ქრონიკა და ინფორმაცია", სადაც დაბეჭდილია თანამედროვე მეცნიერის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი წერილები და ჟურნალ „საბჭოთა მედიცინაში" 1975 წელს გამოქვეყნებული ნაშრომების საძიებელი.



კარგი წამოწყება

შაბათობით ავადმყოფებს სამედიცინო მომსახურებას უწევენ ექსპერიმენტული თერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პროფესორები და დოცენტები

დილის ათი საათია. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული თერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საკონსულტაციო პოლიკლინიკაში თუმცა დასვენების დღეა, შაბათია, მაგრამ ავადმყოფები ჩვეულებრივად მოსულან და ჩაწერაც მიმდინარეობს...

პოლიკლინიკას ღია კარების დღე აქვს. კაბინეტებთან გაკრული წარწერები მომსვლელებს აუწყებენ — დღეს რომელი პროფესორი ან დოცენტი გაუწევთ მათ კონსულტაციას.

თერმომეტრი საათიდან მიეუბაკ დაიწყო. ავადმყოფების ერთი ჯგუფი პროფესორ ირ. ჭუმბურიძის მისაღებთან თავის რიგს ელოდება, ზოგი დოცენტ ავ. სამადაშვილთან მოსულა, ზოგი დოცენტ გ. ჩაფიძესთან, ბევრი საკონსულტაციოდ პროფესორ ნ. ყიფშიძესთან ჩაწერილა.

ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ნ. ყიფშიძე ეკულასმით უსმენს ავადმყოფს, რომელიც გულის არეში ტკივილებს უჩივის. პროფესორი ამ ხანაში საერთო ანალიზისა და ელექტროკარდიოგრამის გადასაღებად აქვს, პოლიკლინიკის კაბინეტში გზავნის.

სანამ ავადმყოფი ექიმის დანიშნულებას შეახრულებს, ვიარეგლობ შეპოზვეთით და პროფესორს ვთხოვ განგვიმარტოს, რას ნიშნავს ღია კარების დღე.

— დედაქალაქის მოსახლეობის საექიმო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, — გვეუბნება მან, — ამ ორი წლის წინათ ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა სოციალისტურ ვალდებულებად ვიკისრეთ ჩვენი დასვენების დღის, შაბათობით, ინსტიტუტის საკონსულტაციო პოლიკლინიკაში ღია კარების დღე მოგვეწყო. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი თერაპევტი დაავადებების მიხედვით მიეიღოთ ყველა ავადმყოფი, ვისაც კი სურს მაღალკვალიფიციური დახმარება, ამისათვის ინსტიტუტში შეიქმნა ორი ბრიგადა. ერთ ბრიგადას მე ვხელმძღვანელობ, მეორეს — პროფესორი ირ. ჭუმბურიძე. ბრიგადების შემადგენლობაში არიან ინსტიტუტის განყოფილებათა გამგეები და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები გ. ნაცვლიშვილი, ლ. ჩირგაძე, მ. დოდაშვილი, შ. ბირკაია, ა. ბრიგადის შემადგენლობაშია, და ავადმყოფი ინსტიტუტის სტაციონარში გადაპყავთ.

პოლიკლინიკის მოსაცდელში მყოფმა ავადმყოფებმა მთხოვეს გამომეთქვა მათი დიდი მადლობა ექიმთა ასეთი კეთილშობილური მომსახურების გამო.

კერძოდ, აი რა გვითხრა მუშამ — ლ. ჭელიძემ:

— ჩვეულებრივ, სამუშაო დღეს არა მაქვს დრო ჩემს ჯანმრთელობას მივხედო, შაბათს კი თავისუფალი ვარ და თანაც ასეთი კვალიფიციური ექიმების კონსულტაცია დიდად სასარგებლოა.

ექიმების მიმართ ასეთივე კმაყოფილება გამოთქვეს ინჟინერმა ა. საყვარელიძემ, დიასახლისმა მ. იაკუშენკომ, ეკონომისტმა ფ. ბეგიაშვილმა, მეცნიერ-მუშაკმა გ. რურუამ, ყვარელი რაიონის სოფელ შილდის კოლმეურნემ კ. გოგიტაშვილმა, ჭიათურელმა ა. ბიწაძემ და სხვებმა.

რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან სხვებიც იყვნენ ჩამოსულნი. იმის შესახებ, თუ როგორ ხვდებიან მათ აქ, გვესაუბრება ბოლიკლინიკის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი შ. გრიგოლია.

— ჩვენი სამკურნალო დაწესებულებების დანიშნულებაა, — გვეუბნება იგი, — მომსახურება გავუწიოთ როგორც თბილისიდან, ისე რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების პოლიკლინიკებიდან საკონსულტაციოდ გამოგზავნილ ავადმყოფებს.

პოლიკლინიკაში გვაქვს კაბინეტები იშემიური — ინფარქტგადატანილი ავადმყოფებისათვის, კარდიოლოგიური, ჰიპატოლოგიური, პულმონოლოგიური, გასტროენტეროლოგიური, ელექტროფიზიოლოგიური, ბიოქიმიური, კლინიკური ლაბორატორია და საპრიცედურო კაბინეტი...

იწერება მიღების საათები. გარდირობის მორიგე, ხანდაზმული ვ. ბოჭიკოვა პაციენტებს თავაზიანად აწვდის პალტოებს. ისიც ინსტიტუტის ბრიგადის შემადგენლობაშია.

კარი იქნებოდა, რომ ექსპერიმენტული თერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ამ მშვენიერ წამოწყებას სხვა ინსტიტუტებიც ეამოხმაურებოდნენ.

ლ. ხუგულური.

• • •

სურათებზე: (მარჯვნიდან) პროფესორები ნ. ყიფშიძე, ირ. ჭუმბურიძე და საკონსულტაციო პოლიკლინიკის მთავარი ექიმი შ. გრიგოლია ავადმყოფს კონსულტაციას უწევენ; ქვემოთ — დოცენტ გ. ჩაფიძესთან მიღებაზე.

ბ. ბოგუნიას ფოტოები.

თბილისის № 5 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს 1975 წელს ხამხედრო ხამსახურიდან დემობილიზებული ახალგაზრდების მიღებას, რომელთაც დამთავრებული აქვთ ხაშუალო ხკოლის სრული კურსი. მოსწავლეები მიიღებიან აქწყობი ზენიკლის სპეციალობაზე

სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე, სწავლების ვადა 8 თვეა.

მოსწავლეებს, რომლებსაც კარგი აკადემიური წარმატება ექნებათ, მიეცემათ სტიპენდია 60-65 მანეთამდე, ამის გარდა, დამატებით მიიღებენ საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 33 პროცენტს.

კურსდამთავრებულები გიგზავნებიან სამუშაოდ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში სპეციალობის მიხედვით.

ხაბუთები მიიღება 1975 წლის 15 დეკემბრიდან ყოველდღე დილის 9 საათიდან 5 საათამდე. სწავლა დაიწყება 1976 წლის 1 თებერვლიდან.

განცხადება სასწავლებელში მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. ხაშუალო განათლების ატესტატი (დედანი); 2. დაბადების მოწმობა (დედანი); 3. ცნობა საცხოვრებელის ადგილიდან; 4. ხამხედრო ბილეთი; 5. პასპორტი; 6. 6 ცალი ფოტოსურათი (3X4).

სასწავლებლის მისამართი: ოქტომბრის სახელობის რაიონი, ათვინის ქ. № 53, ტელეფონი 95-23-72. ტრანსპორტი: 25 ავტობუსი № 29.

ყურადღება!

ახლოვდება საახალწლო დღესასწაული, კულტურის სახლებში, სკოლებში, სანავშვო ბაღებსა და დაწესებულებებში მრავალი საახალწლო მასობრივი ნაძვისხე აინთება.

შეახსენებთ ყველა ხელმძღვანელს, რომ სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საახალწლო ნაძვისის მოწყობა შეთანხმებულ უნდა იქნას ადგილობრივ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებთან.

სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ობიექტის ხელმძღვანელებს.

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციისათვის მიმართეთ რაიონულ სახანძრო ნაწილებსა და სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციებს.

სოფლის მეურნეობის ობიექტების ხელმძღვანელებს!

მეცხოველეობის ფერმებში და მეფრინველეობის ფაბრიკებში უზრუნველყავით სახანძრო უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვა.

გახსოვდეთ, რომ ზამთრის პერიოდში ამ ობიექტებზე ხანძრის საფრთხე იზრდება.

უზრუნველყავით ხიფრთხილის ყველა ზომა დაცვა ელექტროენერგიით და თბომფარფოებელი დანადგარებით სარგებლობის დროს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო და ნაბაყოფლობით სახანძრო საზოგადოება.



სპორტი

ჭადრაკი

ტურნირი დაიხურა

საზეიმოდ დაიხურა თბილისის მე-8 საერთაშორისო საშადრაკო ტურნირი ქალთა შორის. პირველ ექვს ადგილზე გამოსულ მოჭადრაკეებს პრიზები გადაეცათ, ყველა დანარჩენს კი — სამახსოვრო საჩუქრები.

გაიმართა შეჯიბრება ელვისებურ თამაშში, რომელშიც საერთაშორისო ტურნირის 8 მონაწილე გამოდიოდა. ბრწყინვალე შედეგით — 7 შესაძლებლიდან 7 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა მარია ჩიბურდანიძე, 5,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა ნინო გურევიჩმა.

სურათზე: თბილისის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულნი — 16 წლის მოსკოველი სტუდენტი ანა ახშარუმოვა (მარცხნივ) და 14 წლის თბილისელი მოსწავლე მაია ჩიბურდანიძე.

ვ. მგზბიშრის ფოტო.

კალათბურთი

„დინამოს" მესამე მატჩი

ბუენოს-აირესი. (საკდესი). ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ფაუმ სიპასუთმა გაკაკმა განცხადება ეშასთან დაკავშირებით, რომ ტაილანდმა დახურა საზღვარი ლაოსთან. მან აღნიშნა, რომ საზღვრის დასურვამ, ტაილანდსა და ლაოსს შორის ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტამ და ტაილანდის ტერიტორიის გავლით ლაოსისათვის საქონლის ტრანზიტის შეწყვეტამ სიძნელეები შეუქმნის არა მარტო ლაოსს, არამედ ტაილანდის სასაზღვრო რაიონების მოსახლეობასაც.

ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არა ერთხელ წამოუყენებია წინადადება, რომ გამართულიყო მოლაპარაკება ტაილანდის მხარესთან ამ პრობლემის მოსაწესრიგებლად. ჩვენი პოლიტიკა, განაცხადა მინისტრმა, უცვლელია. იგი მიზნად ისახავს ტაილანდთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარებას მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე. ფ. სიპასუთმა გამოთქვა იმედი, რომ ტაილანდის მთავრობა გამოიჩენს კეთილნებას და გახსნის საზღვარს.

ბუენოს-აირესი

ავანტურა ჩაიშალა

ბუენოს-აირესი, (საკდესი). ჩაიშალა არგენტინის სამხედრო-საპაერო ძალების მემარჯვენე ოფიცერთა ჯგუფის მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლის ცდები. ახინი იქულებული გახდნენ ჩაბარებოდნენ ხელისუფლებს. ამბოხებული ოფიცრები დაიპატიმრეს და მალე წარსდგებიან სამხედრო ტრიბუნალის წინაშე. ეს ნათქვამია არგენტინის სამხედრო საპაერო ძალების აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სამხედრო-საპაერო ძალების მემარჯვენე ოფიცერთა ჯგუფმა, რომლებმაც ამბოხება მოაწყვეს 18 დეკემბერს, ხელთ იგდეს დედაქალაქის აეროპორტი, რამდენიმე ავიაბაზა და რადიოსადგური. მეამბოხეებმა მოითხოვეს პრეზიდენტ მარია ესტელა მარტინეს დე პერონის მთავრობის გადადგომა, მოუწოდეს სახმელეთო ჯარების სარდალს გენერალ ვიდელას ხელში აიღო ძალაუფლება და სათავეში ჩადგომოდა ახალ მთავრობას. გენერალმა ვიდელამ უარი თქვა ამ წინადადებაზე. მეამბოხეებს მხარი არ დაუჭერა ქვეყნის არც ერთმა ჯარის ნაწილმა.

სამხედრო-საპაერო ძალების მემარჯვენე ოფიცერთა ავანტურა — პროვოკაციულად გამოიწვია სამხედრო გადატრიალება, დაგმეს მთელმა რიგმა პოლიტიკურმა პარტიებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

გუშინ მთავრობის ერთგული ხაბვიაციო ქვეანაყოფები რამდენჯერმე დაესხნენ თავს მეამბოხეთა მთავარ დასაყრდენ პუნქტს — სამხედრო-საპაერო ძალების მორონის ბაზას.

ამის შემდეგ მეამბოხეებმა სთხოვეს სამხედრო-საპაერო ძალების სარდლობის წარმომადგენლებს მოლაპარაკება დაიწყოთო, შემდეგ კი დანებდნენ.

ფ. სიპასუთის განცხადება

ვიენტიანი. (საკდესი). ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ფაუმ სიპასუთმა გაკაკმა განცხადება უშასთან დაკავშირებით, რომ ტაილანდმა დახურა საზღვარი ლაოსთან. მან აღნიშნა, რომ საზღვრის დასურვამ, ტაილანდსა და ლაოსს შორის ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტამ და ტაილანდის ტერიტორიის გავლით ლაოსისათვის საქონლის ტრანზიტის შეწყვეტამ სიძნელეები შეუქმნის არა მარტო ლაოსს, არამედ ტაილანდის სასაზღვრო რაიონების მოსახლეობასაც.

ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არა ერთხელ წამოუყენებია წინადადება, რომ გამართულიყო მოლაპარაკება ტაილანდის მხარესთან ამ პრობლემის მოსაწესრიგებლად. ჩვენი პოლიტიკა, განაცხადა მინისტრმა, უცვლელია. იგი მიზნად ისახავს ტაილანდთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარებას მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე. ფ. სიპასუთმა გამოთქვა იმედი, რომ ტაილანდის მთავრობა გამოიჩენს კეთილნებას და გახსნის საზღვარს.

ტელეტაიპის ლენტიდან...

მოკლედ

● რომი. 90 პროცენტით გაძვირდა იტალიის დედაქალაქის მოსახლეობის ცხოვრება 1974 წლის სექტემბრიდან 1975 წლის სექტემბრამდე, ნათქვამია დედაქალაქის ლაციოს ოლქის კომერსანტთა კონფედერაციის გამოკვლევაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

● კანბერა. თოფებითა და შუბებით შეიარაღებულმა აურიკუონის ტომის წარმომადგენლებმა დაიკავეს ათასი კვადრატული მილი მონაკვეთი თავიანი რეზერვაციის ტერიტორიაზე, რათა ხელი შეუშალონ დიდი მაღაროს მშენებლობას. ამ მაღაროს მშენებლობა 1982 წლისათვის აქვს განზრახული უცხოეთის ხამ კომპანიას. მაღაროს მთავარი პროდუქცია — ბოქსიტები საექსპორტოდ არის განკუთვნილი. თუ მაღარო აიშენეს, რეზერვაციის ტერიტორიის ნახევარი — ნანადირო სავარგულები და ნაკრძალი ძეგლები მთლიანად განადგურდება.

● ნიუ-იორკი. ახალი ორლეანის ნავსაყუდელში ფრანკლინს ხაბჭოთა ალმაი — ნავსადგურში მოვიდა ხამგზავრო ლაინერი „ოდესა". „ოდესა" პირველად არის ამერიკის ამ ნავსადგურში, რომელიც მექსიკის უურის ხანაპიროზე მდებარეობს. აქედან იგი გაემართება ერთკვირიან ტურისტულ რეისში მექსიკისა და ჰონდურასის ნაპირების გასწვრივ.

● ტოკიო. წლის დამდეგიდან 20 დეკემბრამდე იაპონიის დედაქალაქ ტოკიოს ქუჩებში საგზაო შემთხვევების დროს დაიღუპა 364 კაცი. ეს 50 კაცით ნაკლებია ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. ტოკიოს პოლიციის სამმართველოს აზრით, მსხვერპლთა რიცხვის შემცირება უწინარეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ ტრანსპორტის მოძრაობის მაქსიმალური სისწრაფე ტოკიოს ქუჩებში ახლა შემცირებულია 40 კილომეტრამდე საათში.



ტელევიზია

24 დეკემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინონარკვევი, 10.45 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა (მეექვსე კლასი), 11.15 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბავშვობის ბოლო ზაფხული" (პირველი სერია). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.20 — დოკუმენტური ფილმი „ვასილ დოკუჩაევი", 16.35 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა, 17.05 — კინონარკვევი „ერთი რეისი", 17.20 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია, 18.05 — განცხადებები, 18.10 — რეკლამა, 18.25 — მოსწავლეთათვის — კონცერტი, 18.55 — მშვიდობის პროგრამა მოქმედებაში, 19.25 — გადაცემა „რომ ულევ ჯოგად ძოვდეს ნახირი", 19.50 — „პალიტრა". ფერადი გამოსახულებით, 20.25 — „საზოგადოება და დანაშაული", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ფილმის დამადება". დასასრულ — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — მოსწავლეთათვის ფიზიკა (რუსული სკოლების მეექვსე კლასი), 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თანამეგობრობა", 19.05 — სტუდენტთათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია, 20.05 — კინონარკვევი „ძველი რუსეთის ავტოგრაფები", 20.15 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა, 21.15 — განცხადებები, 21.20 — მხატვრული ფილმი „ამხანაგი ბრიგადა" (მეორე სერია).



რადიო

25 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.00 — „გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — მსუბუქი მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 11.45 — „პარტიული ცხოვრება" საუბარი „კომუნისტები — ახალი მიჯნების აღებისათვის ბრძოლაში", 12.25 — „სცენის ოსტატები", 12.35 — მღერის ზ. მაგომაევი, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — შ. აზმაიფარაშვილი. საორკესტრო პიესები, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში. ერთმანეთს ხვდებიან თბილისის „დინამოსა" და მინსკის რადიოტექნიკური ინსტიტუტის გუნდები (რეპორტაჟი ვილნიუსიდან), 17.35 — მოსწავლეთათვის ნაწყვეტი მ. პროლეტკინის წიგნიდან „ლენინის ბავშვობა", 18.00 — საინფორმაციო ბიულეტენი „ამიერკავკასიის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში", 18.05 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 18.45 — ოსური სიმღერები, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „მშვიდობისმოყვარე ძალები დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში", 19.20 — ბ. კვერნაძე, საორკესტრო პიესები, 20.00 — „შრომის დიდება" რადიომოთხრობა, 20.40 — ნ. ტუღუშისა და შ. კიკნაძის კონცერტი, 21.00 — „ძილისპირული", 22.00 — „ყრილობიდან ყრილობამდე" — აფხაზეთის ასსრ, 23.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.



თეატრები

24 დეკემბერი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შამთა სიცვე; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ბრშინ მალ-ალანი.

რა ვიცოდეთ, რა ვიოცილიცოდეთ



ჟურნალ „ოგონიოკი" — 99-22-03, 99-03-09, 3/მგ მდივნის — 99-72-80, ხალხიანობა — 98-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 98-22-93, მრეწველობის — 98-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხალხთა მშენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 98-28-54.



ჩვენი მისამართი და ტელეფონები



КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 14301

ბეჭ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14



რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.